№ 5503/09 D 30.09.2013

წყალმომარაგება-წაყალარინების ტექნიკური პირობა

ტექნიკური პირობის მომთხოვნი პირი: მოქ. იოსებ თამარაშვილი

ობიექტის მისამართი: მტკვრის მარცხენა სანაპირო, ქსნის ქუჩისკენ მიმავალ გზასა და რკინიგზას შორის (ნაკვეთი 039/061)

მოთხოვნილი ხარჯი: 2,0 მ^3/დღეღამეში

ობიექტის დანიშნულება: ავტოტექმომსახურეობის ობიექტი

ობიექტის წყალმომარაგება შეიძლება განხორციელდეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გამავალ 150 მმ დიამეტრის ქსელიდან წყლის ხარჯის შესაბამისი დიამეტრის განშტოების ჭისა და წყალმზომის კვანძის მოწყობით. წყალმზომის კვანძი უნდა მოეწყოს შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს შესაბამისი დეპარტამენტის სპეციალისტთან შეთანხმებით ტელ.:899 679-967. წყალმზომის კვანძის ჭა და წყალმზომი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ და გამოსაყენებლად დაშვებულ წყალმზომების ნუსხაში მოყვანილ ტიპს.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებარე ობიექტის სიახლოვეს გაედინება D=150მმ-იანი წყალსადენის ქსელი, საიდანაც საჭიროა დაცული იქნეს მშენებარე ობიექტის წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან დაშორების სანიტარული ნორმებით გათვალისწინებული მანძილი, წინააღმდეგ შემთხვევაში შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" არ განახორციელებს ობიექტის წყალმომარაგებას. ქსელების ადგილმდებარეობის და რიგი საკითხების დაზუსტებისათვის საჭიროა მიმართოთ კომპანიის შესაბამის დეპარტმენტს, ტელ:822 487-282. დაინტერესებული პირი ვალდებულია D=150მმ-ანი წყალსადენის ქსელის დაზიანების შემთხვევაში ხელი შეუწყოს შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-ს მიერ ქსელის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარებას. შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" იხსნის პასუხისმგებლობას წყალსადენის დაზიანებით გამოწვეული ჩარალის ანაზღაურებისგან.

ობიექტის საკანალიზაციო ქსელი შეიძლება ჩაირთოს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გამავალ მთავარ გამყვან საკანალიზაციო კოლექტორში დიამეტრით 1000მმ, ჩაღრმავება 2,2 მ.

ავტომანქანების ნარეცხი წყლები სათანადო გამწმენდის (ნავთობდამჭერის და ქვიშდამჭერის) მოწყობის შემდეგ შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით უნდა ჩაერთოს უახლოეს სანიაღვრე კოლექტორში. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია არ განახორციელებს ობიექტის წყალმომარაგებას.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებარე ობიექტის ადგილას გაედინება მთავარი საკანალიზაციო კოლექტორი და მომავალში მისი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიძნით უნდა იყოს დაცული არსებული წესები და ნორმები. მთავარი საკანალიზაციო კოლექტორის ადგილმდებარეობის და რიგი საკითხების დაზუსტებისათვის საჭიროა მიმართოთ კომპანიის შესაბამის დეპარტმენტს, ტელ: 822 487-291. დაინტერესებული პირი ვალდებულია D=1000მმ-ანი მთავარი საკანალიზაციო კოლექტორის დაზიანების შემთხვევაში ხელი შეუწყოს შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-ს მიერ ქსელის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარებას. შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ

ფაუერი" იხსნის პასუხისმგებლობას მთავარი კანალიზაციის კოლექტორის დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისგან.

ტექნიკურ პირობას აქვს 2 წლის ვადა. თუ ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდება ობიექტის აბონენტად გაფორმება, საჭირო იქნება მისი განახლება.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტექნიკური პირობა არ წარმოადგენს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების და ობიექტის ქალაქის მომქმედ ქსელებზე მიერთების საფუძველს. ქსელებზე მიერთება უნდა მოხდეს მხოლოდ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან" სათანადო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. უნებართვოდ დაერთების შემთხვევაში გატარებული იქნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

დანართი: 2 ფურცელზე.

ბექა მგალობლიშვილი

მომხმარებელთან ურთიერთობისა და წყლის გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

შეშრ: ი. ჩხიკვიშვილი
487-194